

## მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

### აკადემიური საქმიანობის წახალისების წესი

განხილულია აკადემიური საბჭოს მიერ ოქმი N3, 16/03/19 წ.  
დამტკიცებულია რექტორის 18/03/2019 წ. N ბ/1-01/09 ბრძანებით.

### მუხლი 1. საგანი და მოქმედების სფერო

წინამდებარე წესის მიზანია, უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის შემდგომში „უნივერსიტეტი“ აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისება, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ განვითარებასა და წახალისოს უნივერსიტეტში კვლევის ზოგადი დონის გაუმჯობესება.

წესი ასევე ადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ უნივერსიტეტის ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ანაზღაურების წესს.

### მუხლი 2. ზოგადი დებულებები

წახალისების თანხა გაიცემა სამეცნიერო შრომის (სტატია/საკონფერენციო მასალა, წიგნი/წიგნის თავი), პატენტისა და სარედაქციო სამუშაოსათვის, რომელიც განხორციელებულია უნივერსიტეტის სახელწოდების გამოყენებით იმდაგვარად, რომ იდენტიფიცირდეს აქტივობის განმახორციელებელი პირის აკადემიური კავშირი უნივერსიტეტთან.

### მუხლი 3. წახალისების წლიური ოდენობა

3.1 წახალისების თანხა შეადგენს დარიცხულ 3000 (სამი ათასი) ლარს ერთი აკადემიური წლის განმავლობაში.

3.2 აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობების ოდენობის მიუხედავად წახალისების ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს 3.1 მუხლში მითითებულ ოდენობას.

3.3 წახალისების დეტალური ოდენობები სხვადასხვა სახის აქტივობისათვის განისაზღვრება დანართ #1-ში.

3.4 წახალისების ძირითადი თანხის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიუჯეტით ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში და მტკიცდება რექტორის აქტით, რაც ავტომატურ რეჟიმში იწვევს 3.1 მუხლში წარმოდგენილი წახალისების თანხისა და დანართ #1-ში მითითებულ მაჩვენებლებს ცვლილებას.

### მუხლი 4. წახალისების გაცემა

4.1 დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე და სათანადო მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ პრორექტორი სამეცნიერო - კვლევით დარგში იღებს გადაწყვეტილებას წახალისების თანხის გაცემის შესახებ და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად.

4.2 თანაავტორობის შემთხვევაში წახალისების თანხა ნაწილდება მონაწილეთა შორის პროპორციულად.

4.3 სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება გაიცემა ღონისძიების დასრულების შემდეგ, ასევე ღონისძიებამდე, განმცხადებლის განცხადების საფუძველზე და წასახალისებელი აქტივობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.4 სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის დაფინანსებისათვის ღონისძიების შედეგად შექმნილი პუბლიკაცია უნდა ფლობდეს ISSN ნომერს.

4.5 სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის შემდეგ, მონაწილემ ფაკულტეტს უნდა წარუდგინოს მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები, თუკი დაფინანსება გაცემულ იქნა წინასწარ. დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში წინასწარ გაცემული თანხა ექვემდებარება დაბრუნებას.

4.6 წახალისების თანხა კონფერენციაში მონაწილეობისათვის გაიცემა იმ შემთხვევაშიც, თუ მონაწილე დაესწრება კონფერენციას, რომლი მასალების პუბლიკაცია არ ხდება თუმცა სახეზეა მონაწილის მიერ შემუშავებული მასალის გამოქვეყნება ჟურნალში, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, კონფერენციაში მონაწილეობის თანხა შთანთქავს სტატიის გამოქვეყნებისთვის განსაზღვრულ წახალისებას.

4.7 სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების თანხის მისაღებად ავტორმა მოთხოვნასთან ერთად უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნებული სტატია. თუ სტატია გამოქვეყნდა ელექტრონული ფორმით, ფაკულტეტს წარედგინება ვებ-გვერდის ელექტრონული ბმული და ამობეჭდილი სტატია.

4.8 წარმოდგენილი სტატიის შეფასებას ახდენს სამეცნიერო-კვლევით დარგში პრორექტორის წარდგინების საფუძველზე, რექტორის მიერ შექმნილი კომისია. კომისია დასკვნას წარუდგენს რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. უნივერსიტეტში კვლევის ხარისხის შენარჩუნებისათვის, კომისია უფლებამოსილია წარმოდგენილი სტატია შეამოწმოს პლაგიატის შემმოწმებელი პროგრამის გამოყენებით.

4.9 დესკრიფციული სტატიები, წერილები რედაქტორს და მსგავსი პუბლიკაციები არ განიხილება სტატიის რანგში.

4.10 წახალისების თანხის გაცემა წიგნის/წიგნის თავის გამოცემისათვის ავტორმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს გამოქვეყნებული ნაშრომი.

4.11 წარმოდგენილი წიგნის/წიგნის თავის შეფასებას ახდენს სამეცნიერო-კვლევით დარგში პრორექტორის წარდგინების საფუძველზე, რექტორის მიერ შექმნილი კომისია. კომისია დასკვნას უგზავნის რექტორს შემდგომი რეაგირებისათვის.

4.12 ავტორი იღებს წახალისებას დაბეჭდილი წიგნის რაოდენობის 10%-ის ოდენობით, თუ წიგნის დაკაბადონება და გამოცემა განხორციელდა უნივერსიტეტის მიერ, ხოლო ავტორმა თუ წიგნი გამოსცა სხვა გამომცემლობის მეშვეობით,

უნივერსიტეტის სახელის გამოყენებით, იგი წახალისების სახით მიიღებს მთლი ოდენობის მესამედს.

4.13 წახალისების თანხა გაიცემა თუ წიგნს აქვს ISBN ნომერი, ავტორს გამოცემისას ეკავა აფილირებული აკადემიური თანამდებობა, სახეზეა წიგნის პირველი გამოცემა.

4.14 წახალისება სარედაქციო სამუშაოსათვის გაიცემა რედაქტირებული გვერდების ოდენობის მიხედვით.

4.15 პატენტისა და სამრეწველო დიზაინისათვის წახალისება გაიცემა, თუკი რეგისტრაციის მომენტისათვის. გასაცემი წახალისების ოდენობა განისაზღვრება ინტელექტუალური საკუთრების პროდუქტის კატეგორიების მიხედვით.

### **მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

5.1 წინამდებარე წესი ძალაში შედის რექტორის მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.

5.2 წინამდებარე წესის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ვიცე-რექტორი.

#	ღონისძიება/პუბლიკაცია	თანხა ლარში
<b>1.</b>	<b>სამეცნიერო ივენთები (კონფერენციები, სიმპოზიუმები და სხვა.)</b>	
	შორეული აღმოსავლეთი / აშშ	2,000
	ევროპა, აზია, შუა აზია	1,500
	რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა	1,500
	ქვეყნის შიგნით (თბილისის გარდა)	375
<b>2.</b>	<b>სტატიები</b>	
	მინიმალური შემოთავაზებული წახალისება SCI <sup>1</sup> , SSCI <sup>2</sup> , AHCI <sup>3</sup> ჟურნალებისათვის	400
	საერთაშორისო რეფერირებადი და ინდექსირებული ჟურნალები	210
	უნივერსიტეტის შიდა გამოცემები	150
<b>3.</b>	<b>წიგნები</b>	
	წიგნის გამოქვეყნება (უნივერსიტეტის გარეთ)	1000
	წიგნის გამოქვეყნება (უნივერსიტეტის მიერ)	10% ტირაჟის რაოდენობის
	რედაქტირება (წიგნები)	3/გვ
	წიგნის თავი - საერთაშორისო	min. 400
	წიგნის თავი - ეროვნული	min. 210
	წიგნის თარგმანი	20 ლარი/გვ

<sup>1</sup> SCI - სამეცნიერო ციტირებული ინდექსი.

<sup>2</sup> AHCI - სახელოვნებო და ჰუმანიტარული ციტირებული ინდექსი.

<sup>3</sup> SSCI - სოციალური სამეცნიერო ციტირებული ინდექსი.